ხაშურის მოამბე

№11(335) 28 მარტი, ორშაბათი, 2022 წელი

მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობა სოფლისთვის საჭირო პრიორიტეტებზე მსჯელობს

სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი და პატარა ხალების, ღართის, სარტყელას და ღვრიაწყლის მცხოვრებლებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი და მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი შეხვდნენ.

კრებებზე მოსახლეობა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განსახორციელებელ პროექტებზე შეთანხმდა. კერძოდ, დიდ და პატარა ხალებში, ღართასა და სარტყელაში ბეტონის გზა მოეწყობა, ხოლო ღვრიაწყალში წყლის სისტემა მოწესრიგდება.

შეხვედრები გაიმართა აგრეთვე სოფლებში - ხცისში, მიწობსა და კრისხევში

ადგილობრივებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს წევრები მაკა დიდებულიძე, ლევან გამრეკელი, მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი და მუნიციპალიტეტის სხვა წარმომადგენლები შეხვდნენ.

კრებებზე მოსახლეობა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განსახორციელებელ პროექტებზე შეთანხმდა. კერძოდ, ხცისში გარე გამოყენების ტრენაჟორები დამონტაჟდება, კრისხევში წყლის სისტემა მოწესრიგდება, ხოლო მიწობში საბავშვო მოედანი მოეწყობა.

„მნიშვნელოვანია, რომ სოფელ მიწობში მიმდინარეობს ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები, რაც აღნიშნულ სოფელში წყლის პრობლემას მოაგვარებს. გარდა ამისა, გავეცანით ადგილობრივების საჭიროებებს, რაც სოფლის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია, ამიტომ ამ საკითხებს პრიორიტეტებად დავისახავთ და შესაძლებლობის ფარგლებში, მათ დროულ გადაჭრას შევეცდებით, ასეთი მჭიდრო კომუნიკაცია სოფლის მცხოვრებლებთან მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება, რათა ვიცოდეთ სოფლის საჭიროებები და პრიორიტეტებიც სწორად დავგეგმოთ“-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ

ჩიტიაშვილმა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები ყველა სოფელს მოიცავს.

- რედაქტორის სვეტი -

გიხაროდენ, ქართველებს მეზარბაზნეები არა ჰყავთ!..

სათაურში გამოტანილი ეს ცნობილი ფრაზა, საქართველოში, ერთგვარად, ღალატის სინონიმადაა ქცეული, ღალატის, რომელიც ნებისმიერ ეპოქაში და ნებისმიერ ერში, ადამიანის ათასგვარ თვისებათა შორის, ყველაზე მდაბიო, ყველაზე ზნედაცემული გამოხატულებაა. ღალატს თავისი „განშტოებები“ აქვს, მათგან კი ყველაზე საშინელი, თუნდაც თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, სამშობლოს ღალატია. ღალატი ორ ინდივის შორის, ძალიან ლოკალურია და მისი რეზონანსი შესაძლოა არც გასცდეს ამ ორეულს. სამშობლოს ღალატი კი ათასობით შენი თანამემამულისათვის ზურგში ხანჯლის დაკვრას ჰგავს და თუ ამას სიხარულით სჩადის პიროვნება, ეს უკვე ზნედაცემულობის აპოთეოზია. გენიალურად განმარტავს სულხან-საბა ღალატის ფენომენს - „ესე არს მუხთლად მოკვლა.“

რატომ დაგვჭირდა ამხელა შესავალი? ბოლო დღეებია პარტიული ტელევიზიებიდან და რადიკალური ოპოზიციისაგან ღალატის ისეთი კასკადი დაიწყო, რომ რომაელი ბრუტუსი თუ „ჩვენი“ შადიმანი რა მოსატანია მათთან. იყენებენ ყველა საშუალებას, მუხთლად მოკვლის ყველა ილეთს, რომ შეურაცხყონ საკუთარი სამშობლო, დაამცირონ იგი მსოფლიოს თვალში და ჩირქი მოსცხონ ამით ხელისუფლებას. სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ ამ რამდენიმე დღის უკან, მთავარი არხის ჟურნალისტის ინტერვიუს აშშ-ს სახელმწიფო რწმუნებულის პრესსპიკერთან - ნედ პრაისთან. თუმცა, რა ინტერვიუ, ეს იყო ჯირდაპირი გაგებით, დაკითხვა. რანაირად არ უტრიალა ამ ვაიჟურნალისტმა ინტერვიუერს, რომ როგორმე იმის პირიდან საკუთარი სამშობლოს დისკრედიტირება მოეხდინა, როგორ არ ეცადა, მაგრამ ამ მაღალი დონის დიპლომატს მაინც ვერ დააცდენინა საქართველოზე და მის ხელისუფლებაზე ცუდის თქმა. ან, რა ჰქვია ცნობილი ოპოზიციონერი ქალბატონის უკრაინული არხისთვის მიცემულ ინტერვიუს, სადაც მან მჭექარე ხმით და აღტაცებული ტონით განაცხადა, რომ საქართველო თურმე რუსეთს იარაღს აწვდის. არ გინდა ამის მოფიქრება? ან, კიდევ, ორკესტრირებულ შეტევას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თავი მოიჭრა, რომ რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ეკონომიკურ სანქციებს არ შეუერთდა და თითქოს, უკრაინის მხარდაჭერა არ გამოხატა. მაშ რა ჰქვია იმას, რომ უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას გენერალურ ანსამბლეაზე ხმა მისცა? რუსეთის ფედერაციის გარიცხვას ევროპის საბჭოდან მხარი დაუჭირა? დიდი ბრიტანეთის ინიციატივას, რომ გაეროს საერთაშორისო სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ აღძრულიყო საქმე იმის გამო, რომ რუსეთის ფედერაციამ განახორციელა საერთაშორისო სამართლის სრული დარღვევა უკრსინის წინააღმდეგ აგრესია, მხარი დაუჭირა? სხვა რანაირია აქციების შეერთება? თუ ჩურჩხელა და ფელამუში აღარ გაგვეტანა რუსეთში და ეს იქნებოდა სრულმასშტაბიანი მხარდაჭერა ან, 90-იანი წლების მსგავსად, როცა რკინიგზა გადავკეტეთ და დღემდე მთელი მსოფლიოს დასაცინი გავხდით, ეს გაგვემეორებინა? რათქმა უნდა, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (ბოლო გამოკითხვით 75 პროცენტი) სრულიად უჭერს მხარს ხელისუფლების პოზიციას, თუმცა ამ შადიმანებმა მაინც მოახერხეს და თავისი შხამი უკრაინის პრეზიდენტის ყურამდეც მიიტანეს. იმანაც, ჭორებს აყოლილი დედამთილივით, ელჩი გაიწვია საქართველოდან. შემდეგ კი მიხვდა, რომ გადაამლაშა, მაგრამ მანამდე მთელი ეს რადიკალური ოპოზიცია სიხარულისგან იფშვნეტდა ხელებს. და სამშობლო? რა სამშობლო, ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა თუ მე ხელისუფლებაში არ ვიქნები, თუ ,მე ძალაუფლება არ მექნება და ისევ ისე არ დავატერორებ ხალხს, როგორც 2005-2012 ნლებში... აი, მათი პოზიცია, აი, მათი ბრძოლის არსი! სხვას უკიჟინებენ რუსეთუმეობას და ვგონებ, ერთხელაც არ დაფიქრებულან, რომ მათ პარტიულ სახელწოდებაშიც კი რუსული გავლენაა. „ნაცია“ არაა ქართული სიტყვა, რუსულია და ქართულად ერს ნიშნავს, მაგრამ არა, ასე, რუსულად უფრო მოსწონთ, ქართული დაბოლოება მიაბეს და ეროვნულის მაგივრად ნაციონალურით იწონებენ თავს.

მოღალატე არასოდეს არაა გამარჯვებული. კი, ღალატიდან რამდენიმე წუთი, დღე ან, უკიდურეს შემთხვევაში, თითზე ჩამოსათვლელი წელი შეიძლება მართლაც გამარჯვებულის მანტიამოსხმულმა იაროს, მაგრამ შემდეგ, როგორც წესი, ჭეშმარიტების სხივით განფენილი დამოკლეს მახვილი აღიმართება ხოლმე მათ თავზე და ისტორია ისე ჩარეცხავს მათ სახელებს, რომ მხოლოდ გულისამრევი კვალიღა დარჩება. დღეს კი მიდით, ბიჭებო, ეგებ როგორმე მიაღწიოთ საწადელს, რომ რუსეთმა ჩვენც დაგვარტყავს და დაგვაჩოქოს. მღვრიე წყალში კი თქვენზე უკეთ ვინ იცის თევზის ჭერა? რუსეთისათვის კი ჩვენი დაჩოქება ძალიან იოლი იქნება, რადგან, თქვენი კაიკაცობით, ისედაც იცის რუსეთმაც და მთელმა მსოფლიომაც, რომ ქართველებს თურმე მეზარბაზნეები არ ჰყოლიათ.

გოგი გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების - მეორადი სტრუქტურული ერთეულის 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება არის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ერთ-ერთი განყოფილება. განყოფილების ძირითადი მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება.

განყოფილებაში, 2021 წლისათვის, დასაქმებული იყო 26 საჯარო მოსამსახურე. განყოფილებაში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებიდან 7 პირი დასაქმებული იყო განყოფილებაში შემოსული კორესპონდენციის შესაბამისი ადრესატებისათვის, მათ შორის მერის წარმომადგენლებისათვის გადანაწილებაზე, ხოლო დანარჩენი 19 მოხელე დასაქმებული იყო აღნიშნული წერილების შესრულებაზე ადმინისტრაციულ ერთეულებში.

განყოფილება ზემოთნახსენები მიზნის შესრულებისას ახორციელებდა შემდეგ საქმიანობას:

მერის წარმომადგენელთა ინფორმირება/ მათთან კოორდინირებული ურთიერთობა სხვადასხვა საკითხების მოგვარებისათვის, მათ შორის:

1. მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადასტურება;
2. მოქალაქეთა მიწის (უძრავი ქონების) საკუთრებაში გადაცემის შესახებ არსებული უფლების დამდგენი დოკუმენტების მოძიება (დადგენილება, ოქმი, მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა) ადმინისტრაციული ერთეულებსა და ხაშურის რეგიონული არქივიდან;
3. საკარმიდამო ან/და საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად გაცემული მიწის ნაკვეთების შესახებ შესაბამისი წერილების მომზადება;
4. მაღალმთიანი დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების სტატუსზე მუშაობა (სტატუსის მინიჭებისათვის დოკუმენტაციის მომზადება, სტატუსის მონიტორინგი);
5. ხე მცენარის ადგილწარმოშობის ცნობებზე მუშაობა;
6. მეწყერით დაზიანებულ სახლებზე ინფორმაციის მომზადება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გადაგზავნა;
7. საშეშე მერქნის სიების დაზუსტება, შუამდგომლობები ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან;
8. სამასალე მერქნის გამოყოფისათვის შუამდგომლობების მომზადება;
9. მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწის მოიჯარეთა შესახებ ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოების და მოიჯარეებისათვის, წერილების მომზადება მიწის ნაკვეთების სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების შესახებ;
10. სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის განხორციელებული და მიმდინარე პროექტების და ბენეფიციარების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება;
11. მოქალაქეებიდან და სხვადასხვა უწყებებიდან განყოფილებაში მიღებული წერილების შესწავლა, შუალედური და საბოლოო პასუხების მომზადება;
12. მოქალაქეთა ცხოვრების ფაქტების დადასტურება;

განყოფილების თანამშრომლები 2021 წლის განმავლობაში ასევე ასრულებდნენ შემდეგ ფუნქციებს;

1. მოსახლეობის ინფორმირება ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელი მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შესახებ და მათი კომუნიკაციის უზრუნველყოფა საკრებულოსთან და მერიასთან;
2. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ან/და საჯარო რეესტრში დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა და საკადასტრო აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენა და შესაბამისი ოქმის შედგენა;
3. საკარმიდამო ან/და საოჯახო მეურნეობის კონკრეტულ პირზე გაცემის შესახებ ინფორმაციის მოკვლევა/ გაცემის დადასტურება;
4. პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურებისათვის ადგილზე შემოწმება და ადგილზე შემოწმების ოქმის შედგენაში მონაწილეობა;
5. საკრებულოსა და მერიის თანამშრომლების მიერ მოსახლეობის წინაშე, ანგარიშგების მიზნით, მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების ორგანიზება;
6. სხვადასხვა კორესპონდენციის დამუშავება, ადგილზე მოკვლევა და პასუხების მომზადება;
7. განყოფილების თანამშრომლები ჩართულები არიან დასახლების საერთო კრების მოწვევის პროცესში;

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებაში, 2021 წლის განმავლობაში, სულ შემოსული და დამუშავებულია 4548 განცხადება და წერილი, აქედან მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადასტურებისა და კომლის შემადგენლობისა და რიცხული ქონების შესახებ ასევე საკარმიდამო ან/და საოჯახო მეურნეობის შესახებ საჯარო რეესტრიდან - 3747 წერილი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან სტიქიით დაზიანებული ოჯახების შესახებ - 2 წერილი, ადგილწარმოშობის ცნობის გაცემის შესახებ შემოსულია მოქალაქეთა 35 განცხადება, ავარიული ხის მოჭრისა და ხეების გადაბელვის შესახებ შემოსულია 40 განცხადება, ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ, სს „სოკარ-ჯორჯია გაზში“ წარდგენის მიზნით - 406 განცხადება, საშეშე მერქნის მიმღებთა სიაში მოქალაქის შეყვანის შესახებ - 32 განცხადება, მისამართების იდენტურობის დადგენის შესახებ - 27 განცხადება, სასოფლო სამეურნეო საიჯარო მიწის სასოფლო სამეურნეო მიზნით გამოყენების ცნობის მოთხოვნით - 5 განცხადება, დასახლების საერთო კრების გამართვის შესახებ -1 განცხადება და 253 სხვადასხვა წერილი და განცხადება. (სულ განყოფილებაში დამუშავებულმა კორესპონდენციის მთლიანმა რაოდენობამ, შუალედურის ჩათვლით ამ პერიოდისათვის შეადგინა 14 335.

ჩატარდა მაღალმთიან დასახლებებში სტატუსის მართვის საბჭოს 10 სხდომა, სტატუსის მინიჭების თაობაზე განაცხადი შემოიტანა 62 მოქალაქემ, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსი მიენიჭა 45 მოქალაქეს, მინიჭებაზე უარი ეთქვა - 13-ს, ხოლო სტატუსი შეუწყდა 46 მოქალაქეს. სტატუსის შესახებ მომზადდა 64 საინფორმაციო წერილი. მერის წარმომადგენლების მიერ, წლის დასაწყისში, დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად ჩატარდა 604 მონიტორინგი, მოქალაქეთა სტატუსის გადამოწმების მიზნით. 2021 წლის ბოლოსათვის აქტიური სტატუსი ჰქონდა 1906 მოქალაქეს.

განყოფილების სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს მერის ინიციატივით მოწვეული დასახლების 66 საერთო კრებისა და 11 კონსულტაციის მომზადებასა და ჩატარებაში.

ივანე ლოლაძე, განყოფილების ხელმძღვანელი:

მედიკამენტები 60-80 პროცენტით გაიაფდა

თურქეთიდან იმპორტირებული პრეპარატების სია გაფართოვდა. 45-მდე დასახელების მედიკამენტის შემენა საქართველოს მოსახლეობას უკვე 3 დიდ სააფთიაქო ქსელში შეუძლია.

იაფი მედიკამენტები „ფარმადეპო“-ს, „ავერსი“-ს და „PSP“-ს ქსელშია ხელმისაწვდომი.

გარდა ამისა, ხვალიდან მედიკამენტ ქსარელტოს შემენა შესაძლებელი იქნება „GPC”-ს მთელ ქსელში. იგივე მედიკამენტი ხელმისაწვდომია „ფარმსახლი“-ს სააფთიაქო ქსელშიც.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, თურქული ფარმაცევტული ბაზრის გახსნის შედეგად, პრეპარატების ფასი, საშუალოდ, 60-80%-ით შემცირდა.

მოსახლეობისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სახელმწიფოს პრიორიტეტია. ჯანდაცვის სამინისტროში, ამ მიმართულებით, მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს.

თურქეთიდან იმპორტირებული პრეპარატების ჩამონათვალი მოწოდებულია ფარმაცევტული სექტორის მიერ და განახლდება კომპანიებისგან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად.

გიორგი ჩუბინიძე: სადაც არ უნდა ვიყო, ხაშური მუდამ ჩემს ფიქრთანაა

ხაშურის მუნიციპალიტეტი ახალგაზრდა თაობაში ბევრი საინტერესოადამიანითაა გამორჩეული, რომლებიც საქართველოში, თუ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მუშაობენ და საკუთარ, ხმამაღალ სიტყვას ამბობენ. ჩვენი რესპოდენტი ერთ-ერთი მათგანია, რომელიც ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან აქტიურად არის ჩართული ხაშურის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. მის სახელთანაა დაკავშირებული აკადემიური ბლოგი ხაშურის მუნიციპალიტეტზე, ვებ-გვერდი ხაშურზე, არაერთი სამეცნიერო კონფერენცია ხაშურის ისტორიულ წარსულზე და თანამედროვეობაზე, აგრეთვე ადვოკატირების კამპანიები ხაშურის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადასარჩენად. ის პროფესიით ისტორიკოსია, ამიტომ მისი ცხოვრების დიდი ნაწილი ხაშურის წარმოჩენას და მის პოპულარიზაციას უკავშირდება, სადაც არ უნდა იყოს ის - საქართველოში, თუ მის ფარგლებს გარეთ. ეს ახალგაზრდა ხაშურელი **გიორგი ჩუბინიძეა** და ,,ხაშურის მოამბე" დღეს მას გაგაცნობთ.

- რა გაკავშირებს ხაშურის მუნიციპალიტეტთან და რით არის ის შენთვის განსაკუთრებული?

- ხაშურში დავიბადე. აქაა ჩემი ოჯახი, უახლოესი ადამიანები და ყველა ის, ვინც ბავშვობიდან მომყვება. აქედან დავიწყე გარემოს აღქმა, ადამიანების შეცნობა, სამყაროს შემეცნება და შემდეგ განვითარდა ყველაფერი. ალბათ დაბადების ადგილს იმაზე მეტი ენერგეტიკა აქვს, ვიდრე გვგონია და იმ ადამიანებსაც, ვინც დაბადებიდან მოგვყვებიან... აქვე დავდიოდი ხაშურის მე-5 ბაღში, მაგრამ 6 წლის ასაკში, ანუ სასკოლო ასაკიდან, თბილისში გადავედით, სადაც 173-ე საჯარო სკოლას მივაშურე. ისე მოხდა, რომ რამდენიმე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მყავდა 12 წლის განმავლობაში და ამათგან ყველას წარმოშობის ადგილი ხაშურის მუნიციპალიტეტი იყო. ეს განსაკუთრებულ ემოციურ ბმას იწვევდა, მეც გამორჩეულად მიყვარდა ეს საგანი, შესაბამისად, წერასთან, წერის კულტურასთან, ლიტარატურასთან ჩემი ცხოვრება იქნა მთლიანად დაკავშირებული.

ხაშური პატარა პროვინციული ქალაქია, სარკინიგზო და საავტომობილო კვანძი (უკვე ნაწილობრივ), ადამიანები თავისი პატარა და დიდი სამყაროთი. ხაშურის იდენტობაც კი გამორჩეულია, რკინიგზის ქალაქია, საბჭოთა ,,აღმავლობის'' ფონზე შექმნილი ქალაქი, რკინიგზის მუშების მიერ შექმნილი, შემდეგ ამას დაემატა სხვა ფაბრიკა ქარხნები, ე.წ. გალანტერია და სხვა. სურამსა და ქვიშხეთში სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები... ყოველივე ამან ხაშურს სპეციფიური მნიშვნელობა მიანიჭა, მაგრამ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე ხაშურის მოსახლეობა იდენტობის ძიებაშია. რით დაინტერესონ, რით იამაყონ, რა სოციალური, კულტურული, თუ მატერიალური კაპიტალი შესთავაზონ გარესამყაროს?! ამ მცირედ არეულობაში ხაშური, რატომღაც, იუმორისტული თემატიკის მასალად იქცა, სოციალურმა სიდუხჭირემ და მოქალაქეთა თვითშემოქმედებამ შექმნა ჰამაკების ბაზრობა, ტრადიციულმა კვების მრეწველობამ ნაზუქების ბაზრობა... უფრო შორს წასვლის შესაძლებლობა, სამწუხაროდ, არ მოგვეცა, ვერც ტურიზმი განვავითარეთ თავის დროზე, არადა მთლიანად მუნიციპალიტეტს ამის დიდი პოტენციალი აქვს... მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, დღეს საკუთრივ ხაშური კვლავ იდენტობის მაძიებელი ასწლოვანი ქალაქია, მთლიანად მუნიციპალიტეტი კი დიდი ისტორიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტერიტორია, რომელიც აუცილებლად იტყვის, იპოვის საკუთარ ადგილს მომავლის საქართველოში. აი, ესაა ჩემთვის ხაშური.

- წლების განმავლობაში აქტიურად ხარ ჩართული ხაშურის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. რა განაპირობებს ამას და რისთვისაა ეს საკითხი შენთვის მნიშვნელოვანი?

- სოციალური ქსელის განვითარებამ შესაძლებლობა მომცა ბევრი ჩემი მეგობრისთვის გამეცნო ჩემი წარმოშობის ადგილი თავისი ისტორიით, კულტურით, პოლიტიკით და სხვა მიმართულებებით. 11 წლის წინ შევქმენი გვერდი ,,ხაშურის მუნიციპალიტეტი'', სადაც ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ ხაშურზე არსებულ ყველა თემატიკაზე წერა დავიწყე. იქნებოდა ეს ბავშვური, ზოგჯერ გულიპრყვილო ან თუნდაც მკაცრი კრიტიკა, თუ იქნებოდა სამეცნიერო მასალები, რომლებზეც ხელი მიმიწვდებოდა. ამ გზით არაერთი ადამიანი დაინტერესდა ხაშურით, ჩემი კოორდინირებით მოეწყო სამეცნიერო-სტუდენტური პრაქტიკები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ხაშურის სოფლებში, სამეცნიერო კონფერენციები და ა.შ. ხაშურელ მეგობრებთან ერთად ვიმუშავე ხაშურის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პრობლემების ადვოკატირებაზე, განსაკუთრებით ამ მხრივ აღსანიშნავია დიმიტრი ყიფიანის განახლებული სახლ-მუზემი, რომლის რეაბილიტაციის საჭიროება დიმიტრი ყიფიანის შთამომავლთან, ქალაბატონ თამარ მიქაძესთან და სხვა ხაშურელ ახალგაზრდებთან ერთად წარმოვაჩინეთ.

ხშირად მიკითხავს ჩემი თავისთვის, თუ რატომ ვიყავი და ვარ ასე აქტიურად ჩართული მსგავს საკითხებში, რადგან ამ ყოველივემ ხომ მეგობრებთან ერთად ბევრი უკმაყოფილო ადამიანიც გააჩინა? უკმაყოფილო იმით, რომ ფიქრობდნენ ვიღაც ახალგაზრდა, ზედმეტად ბევრს წერს და საუბრობს პრობლემებზე... ეს აწუხებდა ბევრ ხაშურელს. თითქოს ისინი პრობლემებს შეეჩვივნენ, საბჭოთა საქართველოდან მოყოლებული პრობლემების მოგვარებას გამუდმებით ვიღაც სხვას, მთავრობას ან მითიურ არსებებს მიანდობდნენ და თავად თითქოს ხმამაღლა საუბარი ერიდებოდათ... ჩემი ცხოვრების პრინციპი კი სხვაგვარია... პრობლემებზე უნდა ვისაუბროთ, რაც გვაწუხებს ჩვენი ძალით, კალმით, თუ სიტყვით უნდა ვთქვათ და შევეცადოთ, მივაღწიოთ მაქსიმუმს და თავადვე გავაკეთოთ ის, რისი შესაძლებლობაც გვაქვს.

- ერთხანს აღარ იყავი აქტიურად ჩართული ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ საქმიანობაში. რამ გამოიწვია ეს და რას საქმიანობდი?

- გარკვეული პერიოდი მქონდა პაუზა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკითხებზე, რადგან ეს დრო სხვა, უფრო სამეცნიერო და კარიერული განვითარებისთვის მჭირდებოდა. ვმუშაობდი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სპეციალისტად, შემდეგ, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბილიოთეკაში, პარალელურად, თბილისის მე-6 საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლების მასწავლებლად. ამავდროულად, სამსახურებიდან და პროფესიიდან გამომდინარე, გამოვცემდით სამეცნიერო ლიტერატურას ისტორიის მიმართულებით, ეთნოგრაფიული ლიტერატურის სერიის წიგნებს, ვაკეთებდით და ვაკეთებთ ჟურნალ ,,საქართველოს ბიბლიოთეკას'', ვაწყობდით სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებს ეს პროცესი დღემდე გრძელდება.

- თითქმის ორი წელი არ იყავი საქართველოში. რა იყო შენი მისია და რით დაგვიბრუნდი?

გარკვეული დროის შემდეგ მთლიანად ქართული სივრციდან ავიღე პაუზა. ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე გერმანული ენის სიღრმისეულად შესწავლა და 2020 წელს, პანდემიის აქტიური ფაზის პერიოდში, როცა საქართველოშიც და დანარჩენ მსოფლიოშიც ცხოვრება შედარებით დაპაუზებული იყო, წავედი ჩრდილოეთ გერმანიაში, იქაურ ენის სკოლაში გავიარე გერმანული ენის კურსები, აქედან, ერთი წლის თავზე, კი გადავედი ავსტრიის დედაქალაქში, სადაც სურამისა და ხაშურის ეპარქიის ხელმძღვანელის მეუფე სვიმეონის, პროფესორების ქეთევან ხუციშვილის და როზეტა გუჯეჯიანის რეკომენდაციით, ტრუმაუს უნივერსიტეტში ჩავაბარე თეოლოგიის პროგრამაზე. პროგრამა ითვალისწინებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის რელიგიური ცხოვრების, კათოლიციზმისა და მართლმადიდებლობის მსგავსება - განსხვავებულობის გაცნობას და არსებული პრობლემატიკის შესწავლას. პარალელურად კვლავ გერმანულ ენას ვსწავლობდი ვენის გერმანულ აკადემიაში, რომლის დასრულების შემდეგაც გერმანული ენის სერტიფიკატი ავიღე და ჯერჯერობით კვლავ საქართველოში ვარ და ვაპირებ სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი საქმიანობის გაგრძელებას. ცოტა არ იყოს, ამ მხრივ დიდი პაუზა გამომივიდა და ეს ჩემთვის ზედმეტად უჩვეულოა.

- რა გეგმები გაქვს საქართველოსთან და ხაშურთან დაკავშირებული?

- სადაც უნდა ვიყო, ყოველთვის ვფიქრობ, რა შეიძლება ხაშურში გადმოვიღოთ, განვახორციელოთ, რომ მეტად საინტერესო და მიმზიდველი იქნას აქაურობა. ბუნებრივია, ამ საქმეში მარტო არ ვარ. ბევრი ძალიან ნიჭიერი ხაშურელი მეგობარი მყავს. მათი ნაწილი საქართველოშია, ნაწილი - საზღვარგარეთ. ეს დიდი ინტელექტუალური პოტენციალია, რომელიც თუ არ გამოვიყენეთ, ნურც გვექნება იმედი, რომ ოდესმე უკეთესად ვიცხოვრებთ. განვვითარდებით მხოლოდ მაშინ, როცა ხელს შევუწყობთ ადგილობრივ ახალგაზრდებს, საკუთარი საქმის პროფესიონალებს ან ჯერ დამწყებებს, რომ საკუთარი იდეები განახორციელონ ხაშურში. ცუდი იდეა ხომ არ არსებობს? უბრალოდ, იდეას კარგად გაკეთება უნდა და ვფიქრობ, ჩვენს თაობას ეს შეუძლია. ჩვენი თაობა კონიუნქტურისგან შედარებით თავისუფალია, აქვს სოციალური კონტაქტები და მრავალფეროვანი იდეები. ვფიქრობ, ყველაფერი უკეთესად იქნება. ამჟამად კი მთავარია მშვიდობა და ჩვენი ერთიანი სოლიდარობა მეგობარ უკრაინას, რომელთანაც ხაშური სამუდამოდ დააკავშირა და დაამეგობრა მწერალმა ლესია უკრაინკაამ.

თამარ ჯავახიშვილი

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6,7)

ხაშურის მისადგომებთან

1921 წლის 12 თებერვალს საბჭოთა რუსეთი ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამ აქტით მან უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომლითაც აღიარებდა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ, სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, წინასწარ იცოდა საბჭოთა რუსეთის განზრახვა, მაინც მოუმზადებელი შეხვდა მის აგრესიას.

ქართული საჯარისო ნაწილები ჩაება მტრის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში. მათ არაერთი გმირობის მაგალითი აჩვენეს კოჯორთან, ტაბახმელასთან... ერთკვირიან ბრძოლებში უპირატესობა ქართული ჯარის მხარეზეც იყო, თითქოს შეიძლებოდა საქართველოს საზღვრებში შემოჭრილი წითელი რუსეთის მე-11 არმიის სრული განადგურებაც, მაგრამ ბრძოლებში რუსეთის მხრიდან სულ ახალი ძალები ერთვებოდა.

ქართული ჯარის გმირული ბრძოლის მიუხედავად, მტერმა შეძლო 25 თებერვალს თბილისის დაკავება. ბრძოლებში მტრის მიერ წარმატების მოპოვების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ხშირად ქართულ საჯარისო ნაწილებში არ იყო მტკიცე დისციპლინა და არაორგანიზებული იყო მათი საბრძოლო მოქმედება. ეს განსაკუთრებით ითქმის სახალხო გვარდიაზე, რომლის არაორგანიზებულობა, ხშირ შემთხვევაში თვითნებური მოქმედება, უარყოფით გავლენას ახდენდა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული ომის მიმდინარეობაზე.

სხვათაშორის, თბილისის მისადგომებთან მტრის პირისპირ ხაშურის სახალხო გვარდიაც იდგა, რის შესახებაც საინტერესო მოგონებებს გვაწვდის გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. 15 თებერვალს, მას ქართული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა გ. კვინიტაძემ დაავალა თბილისის მიდამოების დაცვა ტაბახმელა-ორხევის მხრიდან, ამავე დროს, დაპირდა, რომ მის განკარგულებაში გააგზავნიდა „...ყველა იმ ნაწილებს, რომლებიც იმ დღეებში უნდა მოსულიყვნენ ტფილისში დასავლეთიდან.”

იმავე დღეს თფილისში ჩავიდა გორისა და ხაშურის სახალხო გვარდიის ორი ათასეული, რომლებიც დაპირებისამებრ გიორგი მაზნიაშვილის განკარგულებაში იქნა გაგზავნილი. მან სხვა საჯარისო ნაწილებთან ერთად, ხაშურის სახალხო გვარდიასაც მიუჩინა საბრძოლო პოზიციები. „ხაშურის სახალხო გვარდიის ერთი ათასეული, – წერს გ. მაზნიაშვილი, – რომელსაც ჰყავდა 1300 კაცი და 8 ტყვიამფრქვეველი, დაბანაკდა რედუტში წმ. მარინეს დანგრეულ ეკლესიასთან, რომელიც მდებარეობს სადგურ სოდანღულის იქით, მარჯვენა მხარეს.

18 თებერვალს, საღამოს 10 საათზე, წითელი არმიის ნაწილებმა იერიში მიიტანეს გენერალ გ. მაზნიაშვილის პოზიციებზე. „მტრის ჯარების უფროსებს,– აღნიშნავს გ. მაზნიაშვილი, – ცხადია მიზნად ჰქონდათ დასახული ღამით დასცემოდნენ ჩემს პოზიციებს, ჩაეგდოთ ხელში სოღანღულის ხიდი, სადგური და გზატკეცილი, რომელიც მიდის ტფილისისკენ და ამ გზით შეჭრილიყვნენ ტფილისში.”

გ. მაზნიაშვილი ტელეფონით დაუკავშირდა ხაშურის გვარდიის უფროსს, აინტერესებდა თუ როგორი ვითარება იყო მათ სამოქმედო უბანზე. გვარდიის უფროსმა უპასუხა რომ „...მას რაიონში რკინის გზის ლიანდაგიდან დაწყებული, კუმისის ტბამდე, მტერი არსად ჩანს.”

ბრძოლა რამდენიმე საათს გრძელდებოდა და მტრის სასტიკი მარცხით დასრულდა. მან უკან დაიხია, იაღლუჯის მთისკენ. მტრის 1600 კაცი ქართველებმა ტყვედ აიყვანეს, თუმცა მოწინააღმდეგის დევნა ვეღარ შეძლეს, რადგან გენერალ მაზნიაშვილს რეზერვში არ გააჩნდა არცერთი დასვენებული ნაწილი, რომელიც ამას შეძლებდა. მტერს კი იქვე, იაღლუჯის მაღლობთან ჰყავდა განლაგებული სარეზერვო ნაწილები.

როგორ ისახელა თავი ამ ბრძოლაში ხაშურის სახალხო გვარდიამ?

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი იგონებს: „...მთელი ღამის განმავლობაში თავიდან არ მშორდებოდა და ძალიან მაწუხებდა ორი რამ:

ერთი იყო, რა მოუვიდა ხაშურის გვარდიას? რატომ არაფერს არ მატყობინებს იგი?

წმ. მარინეს დანგრეულ ეკლესიასთან მოწყობილ ლიუნეტიდან თოფის ხმა არ მოდიოდა.

ჩემი მხრიდან კავშირის გაბმა შეუძლებელი იყო, რადგან ჩვენსა და ხაშურის გვარდიის შუა მტერი იდგა, მთელი ღამე დავდიოდი და ვფიქრობდი, რას ნიშნავს ეს? დავიჯერო თოფ-გაუსროლელად მტერს ტყვედ ჩაუვარდნენ?

მხოლოდ მეორე დღეს გამოირკვა, რომ ხაშურელებმა, როგორც კი გაიგეს თოფის ხმა გორის გვარდიის ლიუნეტთან, რომელიც მათ მარცხნივ იყო, მიანებეს თავი მშვენივრად მოწყობილსა და სრულიად ახალს ლიუნეტს და სამარცხვინოდ გაიქცნენ ტფილისისაკენ. გაქცევით ხომ გაიქცნენ, საჭიროდ არც კი ჩათვალეს ეცნობებინათ ეს ამბავი ჩვენთვის, და თუ ჩემთვის არა, მეზობელ ჯარის ნაწილებისათვის მაინც. ქურდულად გაიპარნენ სადარაჯო და მე-9 ლაშქრის პოზიციებ შუა.” ასე „ისახელა” თავი ხაშურის სახალხო გვარდიამ თბილისის მისადგომებთან. ცოტა მოგვიანებით კი ხაშურის მისადგომებთან კვლავ „ისახელებს” თავს გვარდია, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ომის მიმდინარეობაზე და თავისი მოქმედებით ხელი შეუწყო ქართველთა დამარცხებას წითელ არმიასთან ერთ-ერთ უკანასკნელ ბრძოლაში.

გენერალ შალვა მაღლაკელიძის ცნობით, 1912 წლის 24 თებერვალს, 12 საათზე, მას თბილისის რკინიგზის სადგურზე უნახავს გასამგზავრებლად გამზადებული მთავრობის მეთაური ნოე ჟორდანია. კითხვაზე თუ სად მიბრძანდებოდა იგი, პასუხობს: მთავარსარდლის გიორგი კვინიტაძის მოთხოვნით, სტრატეგიული მოსაზრებით, მთავრობის ევაკუაცია უნდა მომხდარიყო და ამისთვის ხაშური მიუჩნევიათ შესაფერის ადგილად.

აკაკი კვიტაიშვილი, რომელიც იმერეთის მეორე ბატალიონს მეთაურობდა, იგივეს აღნიშნავს: „სურამის უღელტეხილთან შეჩერდა ჩვენი ლაშქარი. მთავარსარდალმა გენ. გ. კვინიტაძემ გადაწყვიტა აქედან დაეწყო კონტრშეტევა. ეს იყო შესანიშნავი გეგმა, მაგრამ ამის შემსრულებელნი იყვნენ ფრიად სუსტნი. პირველად ამ შეტევებს მიღწევები აქვს, მაგრამ შემდეგ მოხდა უწესრიგო უკან დახევა.”

ხაშურის მისადგომებთან საბჭოთა რუსეთისა და ქართულ საჯარისო ნაწილებს შორის ბრძოლას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ მემუარულ ლიტერატურაში. მასზე წერენ გენერლები გ. კვინიტაძე, გ. მაზნიაშვილი, ალ. ჩხეიძე, ალ. ზაქარიაძე და სხვები. მასზევე საუბრობენ ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები რ. გაბაშვილი, გ. წერეთელი და სხვები.

სამეცნიერო და მემუარულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თბილისიდან უკან, მცხეთისაკენ დახევა, საბედისწერო გადაწყვეტილება იყო, რამაც უარყოფითი როლი ითამაშა შემდგომში განვითარებულ მოვლენებზე. ამ საკითხთან დაკავშირებით დღემდე გრძელდება კამათი და აზრთა სხადასხვაობაა. ყველა ავტორი თითქმის ერთნაირად აღწერს ხაშურის მისადგომებთან, ოსიურთან გამართულ ერთ-ერთ უკანსკნელ ბრძოლას, ამავე დროს ავსებენ კიდეც გარკვეული ცნობებით, რაც საშუალებს გვაძლევს აღვადგინოთ ხაშურის რეგიონში შექმნილი მდგომარეობის სურათი.

მოვუსმინოთ მათ.

გიორგი წერეთელი,– ქართული ემიგრანტული ჟურნალის „გუშაგის” რედაქტორი: „17-დან 24 თებერვლამდე სასტიკი ბრძოლები წარმოებს თბილისის კარიბჭეებთან. რუსები გააფთრებით უტევენ ხან ერთ, ხან მეორე საბრძოლო უბანს, ეძებენ სუსტად დაცულ ადგილს, რათა გასტეხონ დამცველთა წინააღმდეგობა და შეიჭრან ქალაქში. ქართული ლაშქარი მტკიცედ იცავს ყოველ მტკაველ მიწას, ბრძოლის ყოველ უბანზე მტერს დიდ ზარალს აყენებს და მათ შემოტევებს აქარწყლებს. ფრონტის სარდლები ელიან დამხმარე ძალებს, მუდმივი ბრძოლებისაგან დაღლილი და მცირერიცხოვანი ძალების გასაძლიერებლად, ელიან მთავარსარდლის ბრძანებას იერიშზე გადასასვლელად, რათა საბოლოოდ გაანადგურონ თბილისთან მებრძოლი მტრის ჯარები ამის მაგივრად, 24 თებარვალს ღამით, ისინ ღებულობენ მთავარსარდლის ბრძანებას, რომ უკან დაიხიონ მცხეთისაკენ.

ეს იყო საბედისწერო გადაწყვეტილება. მის მიზანშეწონილობაზე კამათი დღესაც გრძელდება... გენერალ კვინიტაძეს ჰქონდა სერიოზული მოტივები ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად. მიუხედავად წარმატებებისა დედაქალაქის დამცველნი მოქანცა მოწინავე ხაზზე გამუდმებულმა ბრძოლებმა, ამასთან რიგიანი შეიარაღებაც აკლდათ და მეტისმეტად მცირერიცხოვანი იყვნენ იმ ვრცელი ფრონტისათვის, რომელსაც იცავდნენ. მთელი რიგი დამარცხებების მიუხედავად მტერი ძლიერი იყო და მას ახალ-ახალი ძალები შემოჰყავდა ბრძოლის ველზე. მარტო მე-11 არმია ითვლიდა 35.000 ხიშტსა და ხმალს. მტერს დიდ უპირატესობას ანიჭებდა კავალერია და განსაკუთრებით ტანკები, რომლებიც სრულიად ახალი გამოჩენილი იყვნენ ბრძოლის ველზე. მთავარსარდლის გადაწყვეტილება დააჩქარა ცნობამ, რომ თბილისს გარს უვლიდა რუსების კავალერიის ორი დივიზია და რომ მათი მოწინავე ნაწილები უკვე გამოჩნდნენ ავჭალის რკინიგზის სადგურთან. თუ მტერი ამ სადგურის დაკავებასაც შეძლებდა, ქართული ლაშქარი მოექცეოდა სრულ გარემოცვაში და მას უკან დასახევი გზა აღარ ექნებოდა. ხოლო, თუ ისარგებლებდა იმ ხელსაყრელი მდგომარეობით, როცა მტერი ძლიერ დაწოლას არ აწარმოებდა ფრონტებზე, თბილისის ქვაბში მყოფ ჯარებს უვნებლად გაიყვანდა და ახალ პოზიციებზე გამაგრდებოდა და რუსების წინააღმდეგ აწარმოებდა უფრო ხანგრძლივ ომს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაშინ ხანგრძლივი წინააღმდეგობა გამარჯვების მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ დედაქალაქის მტრისთვის დატოვებას ჰქონდა უაღრესი დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა, მას შეეძლო გამოეწვია ქართველი ხალხის და ქართული ლაშქრის სულიერი განწყობილების დაცემა, გამარჯვების რწმენის დაკარგვა.

ყოველ შემთხვევაში, თბილისი არ დაცემულა არც ქართული ლაშქრის ლაჩრობითა და ღალატით, არც თბილისელთა აჯანყებით. ღამით დაცლილ ქალაქში, მხოლოდ მეორე დღეს, შუადღისას, ქურდულად, ფრთხილად შევიდნენ რუსი წითელარმიელები. არ სჯეროდათ ქართული ჯარების უკან დახევა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს მათი სამხედრო ფანდი იყო. თბილისელები მათ სრულიადაც არ მიგებებიან სიხარულით, როგორც ამას დღეს საბჭოთა პროპაგანდა წარმოსახავს, პირიქით, თებერვალივით სუსხიანი იყო მათი შეხვედრა.

მტრის მიერ თბილისის აღების შემდეგ, ქართულმა ჯარმა გამარჯვების რწმენა დაჰკარგა. იგი რუსებს ვეღარ გაუმკლავდა ვერც მცხეთასთან, ვერც გორთან და ვერც სურამის უღელტეხილთან, როგორც ამას მთავარსარდალი იმედოვნებდა.”

კამათს იწვევს ნ. ჟორდანიას მოგონებებში გადმოცემული შემდეგი ინფორმაცია: „24-ს ნაშუაღამევს დაიწყო უკან დახევა. მე ვიჯექი ჩემს კაბინეტში და ყოველ წუთს შემომეკითხებოდნენ ტელეფონით, რა არის გასატანი, რა ქუთაისში წასაღები. ჩვენ ვფიქრობდით სატახტო ქალაქათ გვექნება ქუთაისი და იქიდან მივაწვდით ყოველივე სამხედრო მასალას ჯარს და სურსათს მცხეთის მებრძოლ ჯარს. საათის სამამდე ვაძლევდი სხვადასხვა განკარგულებას, როცა გათავდა ყველაფერი, გავედი თბილისიდან უკანასკნელი მატარებლით. ამით დაიხურა სადგურებიც. ვაგონში დამეძინა, გამომეღვიძა გზაში და დავინახე სადგური აქსტაფა; გამიკვირდა, რანდევუ იყო მცხეთა; გავაჩერებიე მატარებელი, ჩამოვხტი, ვეკითხები მხლებელთ – რაშია საქმე; მათ მითხრეს – მცხეთაში არავინ შეგვხვედრია, არავითარი ნიშანი გაჩერებისა არ მოუციათ, თუმცა სადგურზე ვიკითხეთ სამხედრო უწყების სადგომი, მომიგეს რომ არავითარი უწყება იქ არ იმყოფება... ყველა მიდის გორისკენ და ჩვენც აქეთ წამოვედითო. ამ დროს გამოჩნდა დახეული ჯარის ნაწილები, სწრაფად ფეხით მომავალნი. შევაჩერე, გამოვკითხე. აღშფოთებულნი იყვნენ, ოფიცერი არცერთი არ ახლდათ. მცხეთაში არავინ შეხვედრიათ, მივდივართ იქამდის, სანამ ვინმე უფროსი შეგვხვდებაო. ახლა მივხვდი ყველაფერი, მცხეთის ფრონტი იყო მომიზეზება ომის გასათავებლათ. გავსწიე გორისაკენ, აქ დამხვდა შტაბის და კვინიტაძის ვაგონები. ყველა უთავბოლოთ გაბნეულნი მის-მის კუნჭულში. არავითარი მზადება ომის გასაგრძელებლათ – მითხრეს ხაშურის უღელტეხილზე გავმაგრდებითო, მთის გზები დაკავებული გვაქვსო და სხვა. ავათ ვიყავი, მაინც შევჯექი ცხენზე და წავედი ამ სიმაგრეების დასათვალიერებლათ. მივედი უღელტეხილამდე. არსად არავითარი სიმაგრე, არც თხრილი, არც კაცი, არავითარი წინასწარი ზომა, ხოლო დეზერტირობა ურიცხვი; არავინ იყო მათი შემკავებელი. საჩქაროდ მოვაწყვე სამხედრო-საველე სასამართლო არა სამხედრო პირთა თავმჯდომარეობით, რამაც შეიტანა ცოტაოდენი შიში და წესრიგი გაქცეულ ჯარის ნაწილებში. გახდა შესაძლებელი ერთი რაზმის გაგზავნის მომავალი ბოლშევიკების რაზმის წინააღმდეგ. ეს იყო წვეთი ზღვაში... რასაკვირველია ქუთაისში გაჩერებაზე და ჩვენი პლანის სისრულეში მოყვანაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა... ნათელი იყო მთელი ჩვენი ტრადიკული ბოლო, გაუგონარი მოშლა, დაშლა. . . მე კი ასე დარწმუნებული ვიყავი, რომ დახევას აქვს სტრატეგიული ხასიათი და თბილისში ისევ ჩქარა დავბრუნდებოდით...”

ნოე ჟორდანიას ამ განცხადებას ეხმაურებიან გენერალი გ. კვინიტაძე და რ. გაბაშვილი.

გიორგი კვინიტაძე: „...თურმე ნ. ჯორდანიას ჩაეძინა მატარებელში და გაიღვიძა როგორც თვითონ ამბობს აღსტაფაში (აღასტაფა აზერბეიჯანში). ნახა იქ ჯარის და არა გვარდიის ჯარისკაცები თბილისიდან წამოსულნი. დაჰკითხა და გამოარკვია, რომ ესენი იხევდნენ თბილისიდან, „არც ერთი ოფიცერიო”. ვერ მიხვდა, რომ ეს იყვნენ დეზერტირები, რადგან არ ჰყავდათ ოფიცრები და, რასაკვირველია, დიდი ხნის დეზერტირები, ისიც ვერ მოიფიქრა, რომ ფეხით მომავალნი ვერ დაეწეოდნენ მის მატარებელს.

ეხლა ნახეთ ამ გარემოებიდან რა დასკვნა გამოიყვანა ნ. ჟორდანიამ. სწერს: „ახლა მივხვდი ყველაფერს. მცხეთის ფრონტი იყო მომიზეზება ომის გასათავებლად. გავსწიე გორისკენ. იქ დამხვდა შტაბის და კვინიტაძის ვაგონები. ყველა უთავბოლოდ გაბნეული მის-მის კუნჭულში.”

ესე იგი, დარწმუნდა მთავარსარდლის ღალატში და არხეინად მიემგზავრება გორისკენ, სადაც ნახა მთავარსარდლის და მისი შტაბის ვაგონები.

რატომ არ მივიდა მთავარსარდალთან, რატომ არ მოსთხოვა მას პასუხი, რატომ არ მიიღო სათანადო ზომები?

იმიტომ, რომ ეს ყველაფერი მოგონილია აქ პარიზში, რომ როგორმე გააშავოს მთავარსარდალი, რომელმაც მასთან შესწყვიტა აქ ურთიერთობა და ნაცნობობა.

მისდა საუბედუროდ, ამ დროს მე ჯერ ვიყავი მუხათგვერდზე, სადაც ვესალმებოდი ჩვენს ჯარს, ტაბახმელის გმირებს, რომლებიც იხევდნენ გენ. ანდრონიკაშვილის მეთაურობით მტკვრის მარჯვენა ნაპირით.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და აპიპ „მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრს" შორის მემორანდუმი გაფორმდა

8 მარტს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ააიპ „მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრს" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიზანია პროექტის - „ანგარიშვალდებული საკრებულოს წევრი ძლიერი დემოკრატიისთვის" ფარგლებში, მხარეთა შორის ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბება.

მემორანდუმს, ხელი ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა და კონსორციუმის წარმომადგენელმა კოკა კიღურაძემ მოაწერეს.

საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები დაესწრნენ პროექტის პრეზენტაციას, რომლის მიზნებზე ისაუბრეს პროექტის დირექტორმა კოკა კიღურაძემ და კოორდინატორმა კოტე კანდელაკმა.

პროექტის მიზანს წარმოადგენს 10 სამიზნე მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება, ამომრჩევლის და მის არჩეულ საკრებულოს წევრს შორის ეფექტური, ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო არხების დანერგვა, ამ ფორმით კარგი პრაქტიკის დამკვიდრება და მისი გაზიარება ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტისთვის.

პროექტის ფარგლებში ჩატარდება საკრებულოს წევრის ანგარიშვალდებულების და კომუნიკაციის ტრენინგი 10 საპილოტე მუნიციპალიტეტის ყველა წევრისთვის და საპილოტე მუნიციპალიტეტის თითო საკრებულოში შეირჩევა 5-5 მოხალისე წევრი, ანგარიშვალდებულების ახალი სტანდარტების დასანერგად.

პროექტის ფარგლებში იქმნება ელექტრონული კომუნიკაციის პლატფორმა, რომელიც მოქალაქეებთან კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმი იქნება.

პროექტს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ-ის (Deutsche Gesellschaft fürInternationale Zusammenarbeit) მხარდაჭერით და გერმანიის ეკონომიკური.

თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით, მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC), კარგი მმართველობის ინსტიტუტის (GGI) და სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის (ICCC) მიერ შექმნილი კონსორციუმი ახორციელებს.

დღეიდან უქმდება ღია სივრცეში პირბადის ტარების ვალდებულება

დღეიდან უქმდება ღია სივრცეში პირბადის ტარების ვალდებულება და სხვა მოქმედი რეგულაციები, - აღნიშნული გადაწყვეტილება უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ

სხდომაზე მიიღო, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, 28 მარტიდან, პირბადის ტარების ვალდებულება შენარჩუნდება მხოლოდ დახურულ სივრცეებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

უქმდება სტუმრების რაოდენობაზე მოქმედი შეზღუდვა, როგორც საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე, ასევე სპორტულ, სახელოვნებო თუ სხვა სახის ღონისძიებებზე, მათ შორის სოციალურ ღონისძიებებზე.

დისტანციურ სამუშაო რეჟიმში მყოფი საჯარო მოხელეები სამუშაო ადგილებს დაუბრუნდებიან.

ამასთანავე, უქმდება თვითიზოლაციის ვალდებულება საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ქვეყანაში PCR-ტესტის გარეშე ბრუნდებიან.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, აპრილის განმავლობაში გაგრძელდება ვაქცინაციის წახალისების პროგრამა, რომლის თანახმად, 50 წელს ზემოთ ასაკის მოქალაქეები ვაქცინის პირველი დოზით აცრის შემთხვევაში 200 ლარს მიიღებენ, ხოლო ე.წ. ბუსტერ დოზით აცრის შემთხვევაში, ამავე ასაკობრივი ჯგუფის პირებს 100 ლარი ჩაერიცხებათ.

საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველო იქნება რეგიონში პირველი ქვეყანა, რომელიც „ფაიზერის" მიერ შექმნილი კოვიდის სამკურნალო პრეპარატი მიიღო. „პაქსლოვიდის" პირველი დოზები ქვეყანაში უკვე შემოვიდა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებსა და რისკჯგუფების წარმომადგენლებს, ინფიცირების შემთხვევაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების თავიდან ასაცილებლად, მკურნალობის კურსისთვის საჭირო მედიკამენტის დოზა უფასოდ გადაეცემათ.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება

მვირფასო ხაშურელებო, გახანგრძლივებულმა ზამთარმა, ყინვამ და დიდთოვლობამ მნიშვნელოვნად დააზიანა ასფალტის საფარი. გართულებულია გადაადგილება, რის გამოც მოქალაქეები სამართლიან წუხილს გამოთქვამენ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის და გაცნობებთ, რომ ქუჩების ორმოული რეაბილიტაცია დაიწყება აპრილის დასაწყისში და დასრულდება აღდგომის დღესასწაულამდე. იქ, სადაც ასფალტის საფარი არ არის, განხორციელდება მოსწორებითი/მოხრეშვითი სამუშაოები საჭიროების შესაბამისად.

აქვე გაცნობებთ, რომ ქალაქ ხაშურში გზების სრული რეაბილიტაცია დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც განხორციელდება წყლისა და კანალიზაციის სისტემის სრულყოფილი მოწესრიგების მასშტაბური პროექტი, რომლის დაწყებაც მიმდინარე წელს იგეგმება.

მოდი, მოდი, გაზაფხულო, აბა, ჩამოგვშორდი, მარტის თვეო...

ბევრი რამ მქონდა წაკითხული და გაგონილი მარტის თვეზე, მაგრამ მართლა თუ ასეთი ბოროტი დედინაცვალივით იყო, ვერც წარმოვიდგენდი. რაც კი მასზე ანდაზებში, ლეგენდებში თუ ხალხურ გამონათქვამებშია თქმული, ყველა "ლაივში" გვაჩვენა და მთელი თავისი კლასიკური სახე წარმოგვიდგინა. ეს რა ყოფილა, პირველივე რიცხვებიდან რომ დაიწყო, აღარ მოგვეშვა და აგერ, თვე მთავრდება და სიცივე და თოვლი ისევ დათარეშობს ირგვლივ. შეიძლება მთლად კარგი შედარება არ იყოს, მაგრამ სიმართლესთან ახლოსაა: ახლა ორ აგრესორს ებრძვის მსოფლიო–რუსეთს, რომელიც სხვისი მიწების მიტაცებას ცდილობს და ზამთარს, რომელიც გაზაფხულს შეუვარდა სახლში და ისევ ჩემი დროაო, იძახის. ეს გაზაფხულიც რა დაუცველი ყოფილა, როდესაც ასეთი აგრესორი გყავს ზურგსუკან, გაანძრიე ხელი და მოემზადე, აბა, ტირილი უშველის საქმეს? ჰოდა, ჩემო გაზაფხულო, გულარხეინობამ გიქნა სწორედ სამთვიანის მაგივრად, ორთვიანი რომ გახდი. ორთვიანიც რა,

თუ არ გაიბრძოლე და იმოქმედე, შენი ლამაზი თვალები სულ ცალ ფეხზე ჰკიდია ზამთარს და აგერ, აპრილიც არ მიისაკუთროს, ისეთი პირი უჩანს, მგონი, აპირებს კიდეც. ყველაზე ძალიან ყოჩივარდები და ენძელები მეცოდებიან. ერთი პირობა კი წამოყეს თავი, მაგრამ სიცივე და თოვლი ყუმბარებივით დაატეხა ზამთარმა და ვაიდედას ძახებაც ვერ მოასწრეს, ისე შთანთქეს ფიფქებმა. საწყლები, მგონი, მომავალ წლამდე ვედარ ნახონ მზე და სითბო. არა, ისევ ხალხურ სიბრძნეს უნდა ვუხმოთ და ეგებ, ამან გვიშველოს. ჩემი კლასელები უნდა დავრაზმო. ერთი ცოცხს გამოკიდებს აივანზე, -ასე ძლიერი ქარის დროს აკეთებდნენ თურმე, რომ ქარი ჩადგეს, რაი ცი, ზამთარსაც ეშველოს და "ჩადგეს", მერე ტაშტების ბრახუნს ატეხავს, ასე სეტყვა ჩერდებაო და ვინ იცის, ზამთარიც გაჩერდეს და ა.შ. მერე კი ერთად შევიკრიბებით და ხალხურ მოტივებზე ერთს გულიანად ვიმღერებთ: "მოდი, მოდი, გაზაფხულო, აბა, ჩამოგვშორდი, მარტის თვეო..."

ეჰ, ეს გვიშველის ვითომ?

არადა, მართლა რა ძალიან მომენატრა ათასფერი ყვავილებით აფეთქებული გაზაფხული.

ნინო კიკნაძე,
ხაშურის მე-9 საჯარო სკოლის მოსწავლე.

ფოტო განწყობისათვის

პატარა ხაბაზი მ.სალაღაიას ფოტო

- დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე -

სტუმრად - „მომავლის სახლის" ბენეფიციარებთან

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი და მუნიციპალიტეტის სხვა წარმომადგენლები

„მომავლის სახლის" ბენეფიციარებს ესტუმრნენ და საჩუქრებით გაახარეს.

„მომავლის სახლის" პატარების მონაწილეობით ღონისძიება ჩატარდა და ბავშვებმა სტუმრებს თავიანთი შემოქმედება გააცნეს.

„აქ ძალიან მეგობრული და თბილი გარემოა, მოზარდებს ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი იმისთვის, რომ თავი წარმოაჩინონ. ჩვენი ხელისუფლება

მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს, რათა ყველა ადამიანს თანაბრად ჰქონდეს სხვადასხვა პროცესებში ჩართვის და მონაწილეობის შესაძლებლობა, ჩვენც ჩვენის მხრივ, აქტიურად გავაგრძელებთ მათ მხარდაჭერას" -აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მხრიდან, დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებული აქტივობები ყოველწლიურად იმართება და ორგანიზატორი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურია.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.